



სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფსიქოლოგიის მაგისტრი

კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი დიმიტრი ნადირაშვილი, ასოცირებული პროფესორი თეა გოგოტიშვილი, ასოცირებული პროფესორი მაია კალანდარიშვილი, ასოცირებული პროფესორი ნონა ახალაშვილი

საკონტაქტო პირი და ნომერი: მაია კალანდარიშვილი 599 48 00 34

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია“ მაგისტრანტებს სთავაზობს კომპლექსური თეორიული ცოდნის მიღებას სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სფეროში. სტუდენტები შეისწავლიან როგორც ქართული სკოლის, ასევე უცხოური სკოლების კვლევებს ამ მიმართულებით. სწავლის პროცესში ისინი დაეუფლებიან ექსპერიმენტული ტექნიკის გამოყენებას თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კვლევების ჩასატარებლად.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები არიან თავისი დარგის ცნობილი, წარმატებული წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ სწავლებისა და კვლევითი საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება.

კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობენ შესაბამისი პროფილით: ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი, პერსონალის შერჩევა, ფსიქოლოგიური შეფასება, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, კვლევითი ორგანიზაციები, საჯარო და კერძო სკოლები და სხვა.

1. მიზანი

საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის „სოციალური და განწყობის ფსიქოლოგია“ მიზანია მისცეს სტუდენტს კომპლექსური თეორიული ცოდნა სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სფეროში და გამოუმუშაოს შესაბამისი პრაქტიკული უნარები, ამასთან, უზრუნველყოს მათი მომზადება მომდევნო საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და წარმატებული პროფესიული საქმიანობისთვის;

ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას კვალიფიციური, მაღალი კომპეტენციის მქონე და მრავალმხრივ განათლებული, საზოგადოებრივად მოაზროვნე, დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული აქტიური მოქალაქეების მომზადებით;

მაგისტრანტებს სიღრმისეულად შეასწავლოს დარგის მიმართულებები, პრინციპები, თეორიები; მაგისტრანტები დაეუფლონ კვლევის თანამედროვე სტანდარტებს, გაეცნონ სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ სფეროში არსებულ მნიშვნელოვან საკითხებს და პრობლემებს; გაიზიარონ საერთაშორისო გამოცდილება, რაც აუცილებელია წარმატებული კარიერული წინსვლისათვის.

სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობის, ანალიტიკური შესაძლებლობების, ფსიქოლოგიის სფეროში ინოვაციების და გამოცდილების გაზიარების, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით კრიტიკული ანალიზის საფუძველზე კვლევითი საქმიანობის განხორციელების და კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი გზების ძიების, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარებისა და პროფესიულ-ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაციის ჩამოყალიბებაზე;

განწყობის ფსიქოლოგიის, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თანამედროვე ფსიქოლოგიური მიმდინარეობის განვითარება და სწავლება;

განწყობის ფსიქოლოგიაში ქართული ფსიქოლოგიური სკოლის, როგორც ტრადიციული (დ.უზნაძე, შ ნადირაშვილი) ასევე თანამედროვე გამოკვლევების შესწავლა და ანალიზი;

განწყობის ფსიქოლოგიაში საზღვარგარეთული კვლევების (საფრანგეთი, გერმანია, ჩეხეთი, იაპონია, რუსეთი, უკრაინა) შესწავლა და მათი სამეცნიერო კავშირების მიმოხილვა ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლასთან;

თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი სამეცნიერო კვლევების ჩატარება კვლევის თანამედროვე სტატისტიკური მეთოდებითა და ექსპერიმენტული ტექნიკის გამოყენებით.

2. სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება:

კურსდამთავრებულმა სიღმისეულად იცის:

ფსიქოლოგიის მეთოდოლოგია, ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმართულებები და თეორიები, პიროვნებათაშორის ურთიერთობებში არსებული პრობლემები და კანონზომიერებები ექსპერიმენტული გამოკვლევები; თანამედროვე საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემები, შეუძლია მასზე ზემოქმედი ფაქტორების ჩამოთვლა, შეფასება და მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების აღწერა და დახასიათება;

განწყობის ფსიქოლოგიის ადგილი და მიმართება ფსიქოლოგიის სხვა მიმდინარეობებთან (კოგნიტური ფსიქოლოგია, გემტალტფსიქოლოგია, ბიჰევიორიზმი, ფსიქონალიზი...); განწყობის ფსიქოლოგიის საბუნებისმეტყველო საფუძვლები; განწყობის ზოგადი, დიფერენციალური ფსიქოლოგია და ფსიქოპათოლოგია;

ასოციალური ქცევის განწყობისეული მოდელები; შრომითი განწყობები, სოციალური განწყობები, ღირებულებები; განწყობათა ფორმირების პროცესი ადამიანის განვითარებისა და აღზრდის პროცესში; სამეცნიერო კვლევის თანამედროვე ექსპერიმენტული და სტატისტიკური მოდელები; კურსდამთავრებული აცნობიერებს სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის ეროვნულ და საერთაშორისო მნიშვნელობასა და ღირებულებას; აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა გამოიყენოს ფსიქოლოგიის გამოყენებით დარგებში; შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება სოციალური, ორგანიზაციული, პედაგოგიური და თერაპიული პრაქტიკის პროცესში; პრაქტიკაში შექმნილი კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, ცნებებით ოპერირება და კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა უახლესი მეთოდების და მიდგომების გამოყენებით.

დასკვნის უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის ზოგად და გამოყენებით ასპექტებთან დაკავშირებული ცნებებისა თუ მოვლენების შედარება (მსგავსებისა და განსხვავების გამოკვეთა) და შესაბამისი დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; მეცნიერული ფაქტების კლასიფიცირება და ურთიერშედარება, მნიშვნელობის მიხედვით დახარისხება;

მეცნიერული თეორიების კრიტიკული შეფასება და სუსტი და ძლიერი მხარეების ურთიერთშედარება;

სოციალური და განწყობის ფსიქოლოგიის სფეროში ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დასაბუთებული დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.

კომუნიკაციის უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- კოლეგებთან გუნდური მუშაობა;
- კონფლიქტური სიტუაციების მართვა;
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება;

- ქართველ და უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაციაში შესვლა და მათთვის საკუთარი იდეების, მოსაზრებების, აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით, რაც უზრუნველყოფილია პროფესიულ-დარგობრივი თემატიკით გათვალისწინებული თანამედროვე სამეცნიერო ტერმინოლოგიისა და ენობრივი ქმედებების, წერილობითი და ზეპირი პრეზენტაციების პროფესიული ხერხების ცოდნით, დისკუსიების პრაქტიკით.

სწავლის უნარი:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

სწავლის საკუთარი, ეფექტური სტრატეგიის შემუშავება და თვითმოტივაციის გაზრდა; სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, საკუთარი დროის ორგანიზება, პრიორიტეტების შერჩევა და განსაზღვრული სამუშაოს შესრულება; მეტაკოგნიტური უნარების შემუშავება და განვითარება; საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასება და სწავლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების აუცილებლობის განსაზღვრა.

ღირებულებები:

კურსდამთავრებულს შეუძლია:

პროფესიული ეთიკის ფარგლებში, კონფედენციალობის საზღვრების დაცვა; პროფესიული კომპეტენციის აღიარება და პატივისცემა; საკუთარი და სხვა ადამიანების შეხედულებების, ღირსების პატივისცემა; კვლევის ჩატარებისას მონაცემთა სანდოობისა და ვალიდობის უზრუნველყოფა (მონაცემთა გაყალბების დაუშვებლობა); განწყობის ფსიქოლოგიის საფუძველზე ფორმირებულ ეროვნულ, საზოგადოებრივ და პიროვნულ ღირებულებათა სათანადო შეფასება; ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

3. შეფასების სისტემა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა 100 ქულიანია:

შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

შეფასების სისტემა ასევე ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში.
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს.

შუალედური შეფასება შეადგენს 60 ქულას და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. ყოველკვირეულ/ყოველ მომდევნო კვირას შეფასებები. თითოეულ ჯერზე სტუდენტი ფასდება 2 ან 4 ქულით შესაბამისად. შეფასება არ ხდება პირველ კვირაში. სულ 20 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასების ამ კომპონენტზე.
2. სემესტრული ნაშრომი (პროექტი, პრეზენტაცია, რეფერატი, ...). ფასდება 10 ქულით.
3. შუალედური გამოცდა, ფასდება 30 ქულით. გამოცდაზე გასვლა სავალდებულოა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 12 ქულას. სტუდენტს აქვს შუალედური გამოცდის გადაბარების უფლება. შუალედური გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

პირველი და მეორე კომპონენტებისთვის დაწესებულია ჯამური მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 12 ქულა.

დასკვნითი გამოცდა 40 ქულით ფასდება. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდა ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრში.

4. პროგრამაზე მიღების წინაპირობა

• სამაგისტრო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ ფსიქოლოგიის, სოციალური მუშაკის, ფილოსოფიის, სოციოლოგიის, კონფლიქტოლოგიის, ანთროპოლოგიის, კულტუროლოგიის, რელიგიათმცოდნეობის, პედაგოგიკისა და განათლების მიმართულების ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებულ დიპლომირებულ სპეციალისტებს, ასევე ბაკალავრებს, რომელთაც გავლილი აქვთ დამატებითი პროგრამა (მაინორი) ფსიქოლოგიაში 35–დან 60 კრედიტამდე, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ საერთო სამაგისტრო გამოცდას და საუნივერსიტეტო გამოცდას სპეციალობასა და უცხო ენაში.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს მოეთხოვება რუსული ენის B 2 დონეზე ფლობა (თუ აპლიკანტს აქვს ენის შესაბამისი დონის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, თავისუფლდება გამოცდიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, აბარებს საუნივერსიტეტო მისაღებ გამოცდას უცხო ენაში).

• საუნივერსიტეტო მოთხოვნების გარდა, მომავალმა მაგისტრებმა აუცილებელია წარმოადგინონ მოტივაციის წერილი, რომელშიც ასახული იქნება აპლიკანტის მოლოდინი, ხედვა, თუ რატომ აბარებს ის კონკრეტულად ამ სპეციალობაზე. აპლიკანტს შეუძლია დამატებით წარმოადგინოს ნებისმერი ინფორმაცია, რომელიც ასახავს მის სამეცნიერო, თუ პრაქტიკულ გამოცდილებას.

• საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების მისაღწევად საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია სწავლება-სწავლის სალექციო, სასემინარო და ლაბორატორიული მეთოდი და წარმოდგენილია პრაქტიკული კომპონენტი სწავლის შედეგებზე გასასვლელად საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის განმახორციელებლის მიერ გამოყენებულია სასწავლო კურსის შესაბამისი მეთოდები და აქტივობები:

ახსნა-განმარტებითი

ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. მასალის გადმოცემისას მოტანილია კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში;

დისკუსია/დებატები

ეს არის საჯარო განხილვა ან ცოდნის, მსჯელობის, იდეების, აზრების, არგუმენტების თავისუფალი, ვერბალური გაცვლა რაიმე პრობლემასთან, საკამათო საკითხთან დაკავშირებით. დისკუსიის დროს ხდება ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებისა და პოზიციების დაპირისპირება.

დისკუსიის უპირატესობანი:

დისკუსია უზრუნველყოფს ცოდნის აქტიურ, დრმა და ინდივიდუალურ ათვისებას. მიუხედავად იმისა, რომ ლექცია ცოდნის გადაცემის ყველაზე „ეკონომიური“ გზაა, დისკუსიას აქვს გაცილებით ხანგრძლივადიანი ეფექტი. აქტიური, მოტივირებული და ემოციური მსჯელობა, ოპონირება, არგუმენტირება სტუდენტს საშუალებას აძლევს გააზრებულად აითვისოს საკითხი, მაგრამ ამავე დროს დააფიქროს თავის შეხედულებების გადახედვასა და ცოდნის განახლების აუცილებლობაზე.

დისკუსია უკუგების კარგი შესაძლებლობაა, ის უზრუნველყოფს, გავიგოთ, თუ რამდენად სწორად ესმის ჯგუფს მსჯელობის საგანი.

ჯგუფური მუშაობა

ჯგუფური (collaborative) მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია, ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

შემთხვევის ანალიზი

შემთხვევის ანალიზისას (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, საკითხის ყოველმხრივი და საფუძვლიანი შესწავლის მიზნით.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ქეის-მეთოდი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც რთული სისტემა, რომელშიც ინტეგრირებულია შემეცნების სხვადასხვა მეთოდი. ქეის-ტექნოლოგიებს მიეკუთვნება:

- o სიტუაციური ანალიზის მეთოდი;
- o სიტუაციური ამოცანები და სავარჯიშოები;
- o კონკრეტული სიტუაციის ანალიზი;
- o სიტუაციურ-როლური თამაშები.
- o

გონებრივი იერიში

გონებრივი იერიშის (Brain storming) -დისკუსიის ყველაზე თავისუფალი ფორმაა და საშუალებას იძლევა საკითხის/ამოცანის განხილვის პროცესში სწრაფად ჩავრთოთ ჯგუფის ყველა წევრი. მათ უნდა გამოთქვან საკუთარი აზრები, რასაც ლექტორი აფასებს არაფორმალურად და მხოლოდ პოზიტიურად. შემდეგ, კრიტიკული ანალიზისა და შეფასების გზით ხდება გამოთქმული მოსაზრებების გენერაცია და სელექცია. შერჩეული მოსაზრებების საფუძველზე წყდება დასმული ამოცანა/საკითხი და/ან პრობლემა, რაშიც მონაწილეობა უნდა მიიღოს სტუდენტთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ. გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში ამა თუ იმ საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი (სასურველია რადიკალურად განსხვავებული) აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

დემონსტრირება

ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ მაგისტრანტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც პედაგოგის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვებმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

როლური და სიტუაციური თამაშები

სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც სტუდენტს უყალიბებს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. პედაგოგი ლექციის დასაწყისშივე აყალიბებს პრობლემურ სიტუაციას და რთავს სტუდენტებს მის ანალიზში. პრობლემურ სიტუაციაში არსებულ წინააღმდეგობებზე მსჯელობითა და მათი გადაწყვეტით სტუდენტები მივლენ იმ დასკვნებამდე, რომელიც პედაგოგს მათთვის უნდა მიეწოდებინა როგორც ახალი ცოდნა. სტუდენტები აგებენ „პრობლემების ხეს“, ახდენენ ძირითადი და მეორეხარისხოვანი პრობლემების სელექციას და სახავენ პრობლემის გადაჭრის გზებს, რომლის საილუსტრაციოდ ასევე აგებენ „მიზნების ხეს“, ახდენენ ძირითადი და მეორეხარისხოვანი მიზნების გამოკვეთას.

წიგნზე მუშაობა

წიგნზე მუშაობის მეთოდი გულისხმობს წიგნში მოცემული კონკრეტული მასალის დამოუკიდებლად დამუშავებას დასმული ამოცანიდან გამომდინარე.

ექსპერიმენტირება

ექსპერიმენტირების მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ლაბორატორიული, სავლე, მაფორმირებელი, ექსპერიმენტიების დაგეგმვას, ორგანიზებას, ჩატარებას, მონაცემების შეყვანას ელექტრონულ ცხრილებში, მონაცემთა სტატისტიკურ დამუშავებას, მონაცემთა გათვალაჩინოებას ცხრილების, გრაფიკების, დიაგრამების და ა.შ სახით. ექსპერიმენტული სედეგებიდან არგუმენტირებული დასკვნების გამოტანას.

სტატისტიკური მეთოდები

სტატისტიკური მეთოდები - მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს:

კვლევის მონაცემთა დამუშავებას სტატისტიკური კრიტერიუმების მიხედვით, საშუალო, დისპერსია, სტანდარტული გადახრა, კორელციური და დისპერსიული ანალიზი, ფაქტორული და კლასტერული ანალიზი. სტატისტიკური პროგრამების (exell, spss) ათვისება და დამუსავება.